ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №16

ქ. დმანისი **29 იანვარი, 2016 წელი**

ერთის მხრივ **დმანისის მუნიციპალიტეტი** (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი გამგებელის გოგი ბარბაქაძის სახით და მეორეს მხრივ შპს„ ვნვ და კომპანია "(შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ვარლამ კელენჯერიძეს სახით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში - "ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად ქართულ ენაზე. აქედან ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა მიმწოდებელს, ერთი - შემსყიდველს.

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3. "დღე" , "კვირა", "თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. "შემსყიდველი" - ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. "მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. "მომსახურება" - ხელშეკრულების მე-2 მუხით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

არსებული პროექტების კორექტირება (პიკეტებად დაყოფა) (cpv - 71300000).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 1500 (ერთი ათას ხუთასი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ იწარმოებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტის საფუძველზე.

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს მიღება-ჩაბარების აქტს.

5.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერაზე უფლებამოსილი პირია *გამგეობის ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკის განვითარების სამსახურის წამყვანი სპეციალისტი - ზურაბი ოქრიაშვილი.*

6. მომსახურების გაწევის ვადა

6.1. მიმწოდებელი მომსახურების გაწევას დაიწყებს ხელშეკრულების დადებიდან და დაასრულებს 2016 წლის 03 თებერვლის ჩათვლით.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. **შემსყიდველი უფლებამოსილია** ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

7.2. **შემსყიდველი ვალდებულია** უზრუნველყოს მიმწოდებლის მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.3. **მიმწოდებელი უფლებამოსილია** მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

7.4. **მიმწოდებელი ვალდებულია:**

ა) გასწიოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით. იმ ვადაში რომელიც მითითებულია ხელშეკრულების მე-6 მუხლში.

გ) იმ შემთხვევაში, თუ გაწეული მომსახურება არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას აღმოჩენილი ხარვეზი.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1. ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების ინსპექტირებას განახორციელებს ***გამგეობის ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკის განვითარების სამსახურის წამყვანი სპეციალისტი - ზურაბი ოქრიაშვილი.*** ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებისა და გაწეული მომსახურების ხარისხის პროცესის კონტროლს.

8.2. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის, ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 (ხუთი) დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 10.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.

10.6. ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დაუძლეველი ძალა

11.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.2. თუ, ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

შემსყიდველი	მიმწოდებელი

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრამდე.

შემსყიდველი	მიმწოდებელი
დმანისის მუნიციპალიტეტი მის.: ქ. დმანისი, წმ. ნინოს №41 საიდენტიფიკაცო კოდი: 228928391 საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა TRSGE22 ერთიანი ანგარიში: GE24NB0330100200165022 ტელ.: 0(360) 22-11-53	შპს„ ვნვ და კომპანია " მის.: ქ. თბილისი,მხატვრის ქუჩა 2 საიდენტიფიკაცო კოდი: 205201841 საბანკო რეკვიზიტები: ს.ს„საქართველოს ბანკი" ბანკის კოდი: BAGAGE22 ანგარიშის ნომერი: GE17BG0000000592444300 ტელ.: +995 899760222

დმანისის მუნიციპალიტეტის
გამგებელი

ზოგი ბარბაქაძე

შპს„ ვნვ და კომპანია "
დირექტორი

ვარლამ კელენჯერიძე